პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
სამშაბათი
11 სექტემბერი
№ 210 (17555)
ფასი 2 კაპ.

ასამოქმედებელ ობიექტებზე

ფერმების საკვები ბაზა

მიენდგრებში დამწიფდა საგვიანო საფურაჟე კულტურები, მიმდინარეობს სიმინდის, ბალიჩეულის, ბალახის აქვიტის ალება. დადგა სილოსის, ძირხვენების, ნამჯისა და წარმოების სხვა ნარჩენების შესანახად მასობრივი ჩადების დრო. ახლა იმართებენ ხაზამთრო საკვების ძირითად ნაწილს, რომლის რაოდენობაზეც დამოკიდებული იქნება მეცხოველეობის შემდგომი განვითარება, წლიური გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულება.

ბევრი მეურნეობის კოლექტივი აღწევს მაღალ შედეგებს ამ მუშაობაში. შეუფერებელად, კარგად მიდის საქმე, მაგალითად, გომელის ოლქის გომელის რაიონის ურიცკის სახელობის კოლმეურნეობაში, აქ შეიქმნა მუდმივი მექანიზებული რაზმები და რგოლები ფურაჟის დამზადებისა და მისი გადამუშავებისათვის. დაინერგა სპეციალური თესლბრუნვა, ფართოდ იყენებენ შემკვრივებულ და სანაწვერალო ნათესებს, მოქმედებს წყალგამოცლილი საკვების მოსამზადებელი საამქროები. ყოველი ჰექტარი სავარგული იძლევა ექვს ათასამდე საკვებ ერთეულს. ეს მნიშვნელოვანი უკუგებაა!

ასეთი მაგალითი ბევრია. ქვეყნის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაადგნენ სპეციალიზებული საფურაჟე დარგის შექმნის კუოსს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები დიდად ზრუნავენ საკვების წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, პროგრესულ ტექნოლოგიათა დანერგვისათვის. გაიზარდა აქტიური ვენტილაციის მეთოდით თივის დამზადების მოცულობა, გადიდდა ბალახის ფხვნილის, ბრიკეტებისა და გრანულების გამომუშავება. იქ, სადაც ამ მეთოდებს იყენებენ, მაღალი კლასის ფურაჟს იღებენ.

სახელმწიფო მრავალმხრივ დახმარებას უწევს მეურნეობებს დარგის ტექნიკურ განახლებაში. შესამჩნევად შეიცვლა მოსავლის ასაღები მანქანების პარკი, იზრდება საკვებსაცავების ტევადობა. მაგრამ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ტექნიკის ნაკლებობის გამო ჯერ კიდევ მოგვარებული არ არის ფურაჟის დამზადებისა და გადამუშავების კომპლექსური მექანიზაცია. მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტრო ნელა აფართოებს მექანიზმების გამოშვებას. მთელი რიგი საწარმოები — ლიუბერცის უსტომსკის სახელობის ქარხანა, „სალსკსკვებმანქანანი" და სხვა ქარხნები თავს ვერ ართმევენ გეგმას. სამინისტროს ხელმძღვანელებმა, საწარმოთა პარტიულმა კომიტეტებმა ოპერატიულად უნდა გაარკვიონ ჩამორჩენის მიზეზები და მიაღწიონ, რომ სოფლის მშრომელთა წინაშე დავალიანება რაც შეიძლება მალე შეავსონ საჭირო ტექნიკის მიწოდებით.

მეორე, ასევე საქმის მნიშვნელოვანი მხარეა ის, რომ უფრო ეფექტიანად გამოიყენონ არსებული ტექნიკა. მაგალითად, კურსკის ოლქის ობოიანსკის რაიონში, სადაც მეურნეობებისა და სახსოფლტექნიკის ძალებით მოგვარდა მოსავლის ასაღებ-სატრანსპორტო კომპლექსების სადღეღამისო მომსახურება, მექანიზატორები ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებენ ცვლის ნორმებს სასილოსე კულტურის ადების დროს. ამასთან ტულისა და ვოლოგდის ოლქების ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უსარისხო რემონტის გამო საშრობი აგრეგატები ხშირად ცდება. მექანიზატორები აქ სამართლიან პრეტენზიებს უყენებენ სახსოფლტექნიკის საწარმოებს. მანქანების მნიშვნელოვანი ნაწილი ცდება ორიოლის, კურგანისა და პავლოდარის ოლქებში, მდგომარეობის გამოსასწორებლად ყურადღებით უნდა შევისწავლოთ ადგილებზე სარემონტო-საექსპლოატაციო სამსახურების საქმიანობა, ავამაღლოთ მათი ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების პასუხისმგებლობა მანქანების მომსახურებისათვის, რომლებიც საკვების დამზადებაზე მუშაობენ. უნდა მივაღწიოთ, რომ ყველა აგრეგატი სრული დატვირთვით მოქმედებდეს.

გეგმით გათვალისწინებულია წელს ჩაიდოს 250 მილიონი ტონა სილოსი. მისი ხარისხი გადამწყვეტ წილად არის დამოკიდებული ტექნოლოგიის ზუსტ დაცვაზე, სამეცნიერო რეკომენდაციათა გათვალისწინებაზე. მაგრამ ხშირად ეს მოთხოვნები ირღვევა, სილოსს სდებენ მოუპირკეთებელ ტრანშეებში, მასას ცუდად ტკეპნინ, არ აფარებენ აფუკს, რაც ძვირფასი საკვების დანაკარგებს იწვევს. ამგვარი ფაქტები ხდება საქართველოს, თურქმენეთის, ნოვგოროდისა და ტამბოვის ოლქების მთელ რიგ რაიონებში. სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ განსაკუთრებულ კონტროლს უნდა დაუქვემდებარონ ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინის დაცვა, თითოეული კოლექტივის, შეჯიბრების ყველა მონაწილის მეცადინეობა წარმართონ არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

ფურაჟის ყუთიანობას ბევრად განსაზღვრავს დაცვა-შენახვის პირობები. ტიპობრივი საცავების მშენებლობა გაჩაღდა ქვეყნის ყველა რაიონში, მაგრამ ჯერჯერობით იგი ჩამორჩება წარმოების მოთხოვნებს. იფუშება ასეთი მშენებლობის გეგმების შესრულება, მაგალითად, კოსტრომის ოლქში. დიდნაწილობა ინიციატორებზე შექმნილი ვითარება ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. საკვების დაცვა-შენახვისათვის თანამედროვე ბაზის შექმნა, მისი გამოყენების მუდმივი გაუმჯობესება ნიშნავს ავამაღლოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის ეფექტიანობის ახალი რეზერვები.

მოწინავე მეურნეობები იყენებენ პირუტყვის საკვების მომზადების, ცილებით ულუფის გამდიდრების მრავალფეროვან ხერხებს. წარსულ ზამთარში მოქმედებდა სრულულუფიანი ნარევების გამოსაშვები ახი ათასამდე საამქრო. ახლა, როცა ცუდი ამინდის პირობების გამო იგრძნობა მწვანე მასის ნაკლებობა, საჭიროა დროულად ავამოქმედოთ საკვების ყველა საამქრო, მოვაწყოთ სხვადასხვა დამატებითი საკვების გამომუშავება პირუტყვისათვის. საქმისადმი ასეთი მიდგომის მეოხებით სტავროპოლის მხარეში, ჩელიაბინსკის, კიევისა და ზოგიერთ სხვა ოლქში იღებენ ბევრ დამატებით პროდუქციას, მაგრამ არის სხვაგვარი ფაქტებიც. მაგალითად, მორდვეთში ზარშან ზამთარში - უმოქმედოდ იყო საკვების საამქროების თითქმის მესამედი, ხოლო ვოლგოგრადის ოლქში სუსტი ტექნიკური ბაზის გამო პირუტყვი მარცვლეულის ნაწილს შეუმზადებელი სახით იღებდა. ამ ფაქტებიდან სერიოზული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა უნდა მიაღწიონ, რომ თითოეული კოლოგრამი საკვები გადამუშავებული იყოს, მოჰქონდეს უმაღლესი უკუგება.

უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ მეურნეობათა ტექნიკური პოტენციალი საფურაჟე კულტურების მოყვანილი მოსავლის აღებისა და დაცვა-შენახვისათვის — ეს დღევანდელობის მოთხოვნაა. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციათა უნარზე, რომ სწორად გაანაწილონ კადრები, სოფლის მშრომელთა მეცადინეობა წარმართონ დანაკარგების წინააღმდეგ საბრძოლველად, პროდუქციის ხარისხის ყოველნაირი გაუმჯობესებისათვის, აამაღლონ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა. თითოეული კომუნისტი უნდა გვიჩვენებდეს მოვალეობებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითს, იყოს სოფლად ტექნიკური პროგრესის აქტიური გამტარებელი.

დიდი მნიშვნელობის ამოცანაა საკმარისად უზრუნველვყოთ ფერმები ყველა სახეობის ფურაჟით, განვამტკიცოთ მათი მატერიალური ბაზა. მისი წარმატებით გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მეცხოველეობის შემდგომ განვითარებასა და იმ მიჯნების მიღწევას, რომლებიც სოფლის მეურნეობის ამ უაღრესად მნიშვნელოვან დარგს დაუსახა სკკპ XXV ყრილობამ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

მართლწესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მიმდინარე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა მართლწესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მიმდინარე მუშაობის გაუმჯობესების საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჩვენს ქვეყანაში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად თანამიმდევრულად ხორციელდება სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების კურსი. განხორციელდა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ კანონმდებლობის სრულყოფას, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას, საზოგადოებრიობის აქტიურობის განვითარებასა და მისი როლის ამაღლებას მართლწესრიგის დაცვის საქმეში. ყოველივე ეს საჭირო პირობებს ქმნის მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევების აღმოფხვრისათვის, დამნაშავეობის ლიკვიდაციისა და მისი წარმომშობი მიზეზების აღკვეთისათვის.

ამასთანავე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მართლწესრიგის განმტკიცების ამოცანები ჯერჯერობით საკმაოდ ეფექტიანად ვერ წყდება. სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში სრულად არ იყენებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ზემოქმედების, ადამიანთა აღზრდის საშუალებებს. ამ მუშაობას აკლია მიზანდასახულობა, კომპლექსური მიდგომა, პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოქმედების ერთიანობა; ამ მუშაობაში ხშირად არ აბამენ მშრომელთა ფართო მასებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის შემდგომ გაუმჯობესებას, დანაშაულებრივი და სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, ყველა მოქალაქისა და თანამდებობის პირის მიერ საბჭოთა კანონების განუხრელ დაცვას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ უნდა გაუმჯობესდეს პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობა, რომლებიც მოწოდებული არიან იდგნენ საბჭოთა კანონიერების, საზოგადოების ინტერესების, საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა სადარაჯოზე, საჭიროა სამართალდამცავმა ორგანოებმა უკომპრომისო და გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღონ დამნაშავეობის წინააღმდეგ, განავითარონ და განამტკიცონ კავშირი შრომითს კოლექტივებთან და საზოგადოებრიობასთან. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ პარტია ამ ორგანოებისაგან მოელის „კიდევ უფრო მეტ ინიციატივას, პრინციპულობას და შეურიგებლობას საბჭოთა მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში".

სსრ კავშირის პროკურატურას და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება მიეცათ აღმოფხვრან დაქვემდებარებული ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, აამაღლონ კადრების პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, განამტკიცონ დისციპლინა და გააუმჯობესონ მუშაკთა პროფესიული მომზადება, უზრუნველყონ მათს საქმიანობაში სოციალისტური კანონიერების უმკაცრესი დაცვა.

პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან გააძლიერონ კონტროლი სამართალდამცავი ორგანოების მუშობისადმი, განახორციელონ ღონისძიებანი მომზადებული კადრებით ამ ორგანოების განმტკიცებისათვის, აამაღლონ პარტიული ორგანიზაციების როლი იმ საქმეში, რომ აღზარდონ მუშაკები კომუნისტური პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების, სამსახურებრივი მოვალეობის უზადო შესრულების, ნამუშევრის შედეგების კრიტიკული შეფასების, მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით, ნიადაგ იზრუნონ სამართალდამცავი ორგანოებისა და საზოგადოებრიობის კავშირის გაფართოებაგანმტკიცებისათვის, მათ გარშემო პატივისცემისა და მხარდაჭერის ატმოსფეროს შექმნისათვის.

პარტიულ კომიტეტებს და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ სისტემატურად განიხილონ მართლწესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევებთან ბრძოლის საკითხები, სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად დასახონ და განახორციელონ ამ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლების კონკრეტული ღონისძიებანი. ამასთანავე უნდა გაითვალისწინონ, რომ საბჭოთა ადამიანები სულ უფრო შეუწყნარებლად ეკიდებიან ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებს. განუხრელად იღვაწონ დამნაშავეობის აღმოსაფხვრელად, დარაზმონ ამ საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანის გადასაწყვეტად მშრომელთა ფართო მასები. უზრუნველყონ, რომ თითოეული ხელმძღვანელი, კომუნისტი და კომკავშირელი იყოს მორალურად სპეტაკი, სანიმუშოდ იცავდეს საბჭოთა კანონებს, აქტიურად იბრძოდეს სამაგალითო სოციალისტური მართლწესრიგისათვის.

პარტიულმა კომიტეტებმა უნდა გაიერთიანონ და შეათანხმონ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიული, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების, იდეოლოგიური დაწესებულებების, ოჯახისა და სკოლის მეცადინეობა. საჭიროდ არის მიჩნეული, რომ მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის პერსპექტიული და წლიური გეგმები შეიცავდნენ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის კომპლექსურ ღონისძიებებს.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს რჩევა მიეცათ აამაღლონ საბჭოთა ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, გაძლიერონ ამ საქმეში საბჭოების აღმასკომების კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, თითოეული დეპუტატის აქტიურობა, რეგულარულად განიხილონ ეს საკითხები საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე, მოსმენონ სამართალდამცავი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიში და ინფორმაცია საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად გაწეული მუშაობის შესახებ.

პარტიული, საბჭოთა, სამართალდამცავი ორგანოების, სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე დასახულია ამოცანები, რომ:

გააუმჯობესონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში. განამტკიცონ

(დასასრული მე-2 გვ.)

ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად

9 სექტემბერს სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოსა და დროებითი სამხედრო მთავრობის მიწვევით მოსკოვიდან ადის-აბებას ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

მოგზაურობაში ა. ნ. კოსიგინს გაჰყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი; სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ავიაციის მთავარი მარშალი პ. ს. კუტახოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. თ. ილიჩოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ა. ნ. მანკიელო და სხვები.

□

ეთიოპიაში მიმავალი ა. ნ. კოსიგინი გზად ერევანში შეჩერდა. აეროპორტში მას დახვდნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ს. დემირჩიანი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ე. სარკისოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. ტ. სარკისიანი, სხვა ოფიციალური პირნი.

იმავე დღეს ა. ნ. კოსიგინი შეხვდა სომხეთის სსრ ხელმძღვანელ მუშაკებს, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ს. დემირჩიანმა ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ეწევა მეათე ხუთწლედის დაჯილდოთა შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის.

ა. ნ. კოსიგინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სახელით მიესალმა და ყოველივე საუკეთესო უსურვა მათ. საუბრის დროს იგი შეეხო ძირითად ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებასთან.

ა. ნ. კოსიგინმა გაიხსენა რესპუბლიკის დედაქალაქში. იგი ეწვია სომხეთის ახალგაზრდა განვითარებად ინდუსტრიულ ცენტრს ალავერდის, იყო სევანის ტბაზე.

საღამოს ერევანში ა. ნ. კოსიგინი დაესწრო კონცერტს, რომელიც კამერული მუსიკის სახლში გაიმართა.

10 სექტემბერს ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირნი ადის-აბებას გაემგზავრნენ.

ამავე დღეს ა. ნ. კოსიგინი ადის-აბებაში ჩავიდა. (საკდესი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

მაღალორგანიზებული შრომის წანამძღვრები

ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲒᲝᲚᲝᲒᲘᲡ მუშაკებსაც მოადგათ კარზე „ინდუსტრიული შემოდგომა" — სამეურნეო წელი უახლოვდება მეოთხე კვარტალის მიჯნას.

რით იყო გამორჩეული აგვისტო, რა უმთავრესი ნიშან-თვისებებით ხასიათდება იგი?

ინდუსტრიის თითოეული მუშაკის ორიენტირად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალი დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ".

დადგენილება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის თაობაზე, რომელიც ახლა შესწავლისა და განხილვის საგანია და ახლო მომავალში სამეურნეო მექანიზმის ძირეულ გარდაქმნას ითვალისწინებს, მთლიანად შეესაბამება ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ „განვითარებული სოციალიზმის პირობებში ეკონომიკის ხელმძღვანელობა ხორციელდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის საფუძველზე, დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების გათვალისწინებით ისეთ პირობებში, როცა ცენტრალიზებული მართვა შეხამებულია საწარმოების, გაერთიანებებისა და სხვა ორგანიზაციების სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან".

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა, უწინარეს ყოვლისა, მუშაობის ხარისხის ამაღლებას გულისხმობს. საქმე შეეხება არა მარტო საწარმოთა მუშაობის შეფასების ახალი კრიტერიუმების შემოღება-დამკვიდრებას, გეგმების დასაბუთების ხარისხს, არამედ მართვის აპარატის საქმიანობის ხარისხსაც პირველადი რგოლით დაწყებული და ცენტრალური სამეურნეო ორგანოებით დამთავრებული.

დადგენილებას ძირეული ცვლილებები შეაქვს დაგეგმვისა და მეურნეობის წარმართვის მეთოდებში, მატერიალური სტიმულირების მთელ სისტემაში. **და ჩვენ ახლა არა გვაქვს იმაზე უფრო პასუხსაგები საქმე, ვიდრე ის, რომ რაც შეიძლება სწრაფად და უკეთ დავეუფლოთ მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებს, ჩვენს კონკრეტულ უბანს, კონკრეტულ საუშაოს მივუსადაგოთ მუშაობის ახალი პრინციპები. უამისოდ ფონს ვერ გავალთ, ჩამოვრჩებით დროის მოთხოვნებს.**

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ განხორციელებულმა სამეურნეო რეფორმამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემა „ყველაზე უკეთ იმ საწარმოებში დაინერგა, რომლებმაც სამზადისი არ დაადგეანეს, თადარიგი დროულად დაიჭირეს და მარტო ინსტრუქციების, მეთოდიკური მითითებებისა და „ზემდგომი ორგანოების" დახმარების იმედად არ დარჩენილან.

დღეს განსაკუთრებით საჭიროა მიღწეული შედეგებიც ახალ მოთხოვნებს შევუპირისპიროთ, ახალი მოთხოვნების ფონზე განვიხილოთ.

საქართველოს ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ახლახან შეაჯამა ინდუსტრიის მუშაკთა 8 თვის ნაღვაწი. ამ პერიოდში წარმოებულია 68 მილიონ 381 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 58 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია. ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის მეოთხე წელი მუშაობის უფრო მაღალი ხარისხის დამამკვიდრებელ წელიწადადაც გადაიქცა. ნიშანდობლივია, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ახალი დადგენილება საგანგებო ღონისძიებებს სახავს პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ძლიერდება, კერძოდ, ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონის, როგორც საწარმოო კოლექტივის მუშაობის შეფასებელი მაჩვენებლის, მნიშვნელობა.

მრეწველობაში მუშაობის ხარისხის ახალი კრიტერიუმების დამკვიდრების ფონზე, ჩვენი რესპუბლიკა ურიგოდ რიდი დამოყურება. **სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ზრდის ტემპით საქართველოს პირველი ადგილი უკავია კავშირში, ხოლო ამგვარი პროდუქციის ხვედრითი წონით დღეისათვის მხოლოდ ბელორუსიასა და ლატვიას ჩამოვრჩებით.** მნიშვნელოვანი ძვრები იგრძნობა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის სფეროშიც. ეს სისტემა უკვე დანერგილია 125 საწარმოში, 145-ში კი ეკვე დასრულდა სისტემის დანერგვის პირველი ეტაპის სამუშაოები.

გავიხსენოთ, რა მიჯნაა დასახული რესპუბლიკის ინდუსტრიის მუშაკთა წინაშე წარმოების ზრდის სფეროში. წლეულს მრეწველობის მთლიანი პროდუქცია გეგმით 7 პროცენტით, სოციალისტური ვალდებულებების მიხედვით კი 7,2 პროცენტით უნდა გაიზარდოს. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ მუშაკთა დიდმა ნაწილმა სწორედ აგვისტოში ისარგებლა კუთვნილი შვებულებით. ამითაც უნდა აიხსნას შრომის ნაყოფიერების ზრდის რამდენადმე შემცირება. მაგრამ თუ შესადარობის პრინციპს დავიცავთ და განვლილი წლების 8 თვის შედეგებს ერთმანეთს შევუპირისპირებთ, ასეთი სურათი წარმოგვიდგება:

ᲖᲠᲓᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ

1976-1979 წლების 8 თვეში	1976 წ.	1977 წ.	1978 წ.	1979 წ.
წარმოების მატებისა	6,1	6,6	7,3	6,7
რეალიზაციისა	6,4	7,5	7,1	5,5
შრომის ნაყოფიერებისა	5,3	4,6	5,6	5,4

(დასასრული მე--2 გვ.)

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

მაგისტრალებს—ლამაზი იერი, სოფელს—მაღალი კულტურა!

ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲘᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ"

„ᲮᲛᲐ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა"—ლადო ასათიანის ეს ოცნება ალბათ ყოველი ქართველის მისწრაფებასაც გამოხატავს. მაგრამ ხშირად მისწრაფებასა და მის აღსრულებას „შუა რაღაც საოცანი ზღვარი დევს. არა, ისეთ ზღაპრულ სურვილსა და ოცნებაზე როდია ლაპარაკი, რომელსაც ახდენა არ უწერია. იმას ვამბობთ, რის უნარიც შეგვწევს, მაგრამ არ ვაკეთებთ. ამას კი მხოლოდ უზრუნველობა შეიძლება ეწოდოს.

საქართველოს დასამშვენებლად ბევრი, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. ყოველივეს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ხომ გვახდება მათ გვერდით ისიც, რაც დღეს ჩვენ აღარ შეგვშვენის, რომლის არსებობამაც შეიძლება უცხოს თვალში არასასურველი შთაბეჭდილება დატოვოს, ეს განსაკუთრებით ითქმის მაგისტრალების გასწვრივ მდებარე მოუსვლელ სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებსა თუ ფართობებზე, კარ-მიდამოებსა თუ დასასვენებლად გამოყოფილ ადგილებზე. დიახ, ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი რამ, რაც გულს გვტკივნეს და რაც ჩვენს დროულ ზრუნვასა და პატრონობას მოითხოვს. ეს არაერთხელ აღნიშნულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და რესპუბლიკის აქტივის კრებებზე.

და აი, მთელ რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა მოძრაობა ამ საშვილიშვილო საქმის მოსაგვარებლად. მის ინიციატორად კი რესპუბლიკური გაზეთი „სოფლის ცხოვრება" მოგვევლინა. მიმდინარე წლის აგვისტოს დამდეგს გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა გალის რაიონის მზიურის სანანონო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს მშრომელთა მიმართვა საქართველოს საავტომობილო გზისპირებზე განლაგებული დაბა-სოფლების ყველა შრომითი კოლექტივისადმი, თითოეული მშრომელისადმი. იგი შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „გავაჩაღოთ საერთო-სახალხო ლაშქრობა რესპუბლიკის მაგისტრალების ლამაზი იერისათვის, რათა ეს იერი სავსებით შეეფერებოდეს საქართველოს მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონეს, სულიერ სიმდიდრეს, ჯანსაღ ეროვნულ ტრადიციებს.

რედაქცია გამოთქვამდა რწმენას, რომ მზიურის მშრომელთა დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის თაოსნობას გამოეხმაურებიდნენ აგრეთვე რესპუბლიკური უწყებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები. და მართლაც, თაოსნობა „რესპუბლიკის მაგისტრალებს — ლამაზი იერი!" ერთხმად აიტაცეს მთელ რესპუბლიკაში. ამას მოწმობს რედაქციაში უხვად შემოსული წერილები, რომლებშიც საქმიან წინადადებებს გამოთქვამენ სრულიად სხვადასხვა პროფესიისა და მოსწრაფების ადამიანები. რედაქციამ მოაწყო რეიდები ქართლისა და კახეთის გზატკეცილებზე, გზეთის ფურცლებზე გამოიტანა ბევრი მოსაწონიც და ნაკლიც.

ამ კარგ წამოწყებას ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა და თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა ღვაწლმოსილმა ალადემიკოსმა ნ. კეცხოველმა: „უფრო წამახალისებელი არფფერი მგონია, ვიდრე შენი დაღვრილი ოფლით, შენი კეთილშობილური შრომით რომ გაალამაზებ შენს მხარეს და ამის მნახველს გულში ნათელი რომ ჩაგიდგება, მაშინ მეტი სურვილიც გექნება კარგად მოუარო იმას, რაც შეგიქმნია".

რედაქციაში მრგვალ მაგიდასთან სუბრობისას სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა გამოთქვეს აზრი, რომ საჭიროა თითოეული მაგისტრალის საფუძვლიანი შესწავლა და ერთიანი გენერალური გეგმის შედგენა: სად, როდის, რა გაკეთდეს, ვინ გაკეთოს და გაუწიოს შემდგომი მზრუნველობა და ზედამხედველობა. ამ მიმართულებით საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში „გადადგმულ პირველ პრაქტიკულ ნაბიჯებზე ლაპარაკობა მინისტრის ვ. სობოლევის წერილში. აქ შეიქმნა ჯგუფი სამინისტროს ტექნიკური და სოფლის საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილებათა გამგეების შემადგენლობით. ამ ჯგუფის ხელმძღვანელობით მოხდება ტრასებზე მდებარე საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ინვენტარიზაცია, ადგილზევე განხორციელდება კონკრეტული ღონისძიებები ამ ობიექტების ტექნიკური მდგომარეობისა და გარეგნული იერის გასაუმჯობესებლად, სრულ წესრიგში მოსაყვანად. ასევე ქმედითი ღონისძიებები დასახეს საბოლოო მშენებლობის, სატყეო მეურნეობის, საავტომობილო გზების, სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა, ამერკავკასიის რკინიგზამ, პარტიის რაიკომებმა, რაიონული საბჭოების აღმასკომებმა.

განსაკუთრებით კარგ დახმარებას გაუწევს აკადემიკოს ვ. გულისაშვილის საუბარი იმათ, ვისაც რესპუბლიკის გზების გამწვანება უხდება. სად რა უნდა დაირგას, რომელ მხარეს რომელი მცენარე მოუხდება, როგორ უნდა მათი მოვლა-პატრონობა, ყოველივე ამის ცოდნა საჭირო და აუცილებელია, ამოდ რომ არ დაშვრეს გამარჯვ კაცის მარჯვენა.

მზიურელთა თა

პარტიული ქრონიკა

კრიტიკულ შენიშვნებს — მხარდაჭერა!

ზუახევი. (საკ. კორ. მ. გორგილაძე). განვლილი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის პერიოდში რაიონის კომუნისტებმა თავიანთ კრებებზე საქმის გაუმჯობესებ ი ს მიზნით მრავალი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვეს. ბევრი მათგანი შეიზებოდა საგზაო მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებებს. პარტიის რაიკომმა შეისწავლა, თუ რა ღონისძიებები განახორციელეს რაიონის საწარმოო-საგზაო უბნის ხელმძღვანელობამ და კომუნისტებმა აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის. გამოირკვა, რომ მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის სახარბიელო. გზების უვარგისობის გამო ავტობუსები (კუდად მუშაობენ მარათაულში, გომართულში, ტბეთში, ჯაბნიძეებში და სხვა სოფლებში.

რაიკომის ბიურომ აწლახან განიხილა აღნიშნული საკითხი და დაავალა საწარმოო-საგზაო უბანს, შესაბამისი სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს უმოკლეს ვადაში გამოასწორონ მდგომარეობა.

●

ახალგაზრდა კომუნისტთა დასახმარებლად

ზუგდიდი. (საკ. კორ. გ. ნოდია.). ნაყოფიერად მუშაობს პარტიის რაიკომთან არსებული ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლა, რომლის მორიგი მეცადინეობა ახლახან გაიმართა. მის მონაწილეებს ესაუბრნენ ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, აგრეთვე პარტიული მშენებლობის აქტუალურ საკითხებზე.

მსმენელებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორის ფ. მახარაძის მოხსენება „ბელადის ცხოვრების დიადი ფურცლები", აგრეთვე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ კ. ცქიტიშვილისა და საბჭოთა კავშირის გმირის, თადარიგის გენერალ-მაიორის შ. ქირიას საუბრები.

●

აქტივი სწავლობს

ახმეტა. (საკ. კორ. დ. გერგიშვილი.). ახლახან გაიმართა პარტიის რაიკომთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ერთწლიანი სკოლის მორიგი მეცადინეობა, რომელშიც მონაწილეობდნენ პირველადი ორგანიზაციების მდივნები და მათი მოადგილეები იდეოლოგიური მუშაობის დარგში.

მეცადინეობის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები თემებზე — „იდეური რწმენის ჩანერგვა პარტიული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანა", „საბჭოთა კონსტიტუციის განვითარების ეტაპები", „მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმება". დასასრულ საფუძვლიანი პასუხები მიიღეს მათთვის საინტერესო კითხვებზე.

●

მორიგი მეცადინეობა

„იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები — ამ თემას მიეძღვნა იდეოლოგიურ მუშაობაში პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების მოადგილეთა სკოლის მორიგი მეცადინეობა. ეს სკოლა პარტიის საჩხერის რაიკომთან არის შექმნილი.

ამავე მეცადინეობაზე მსმენელები გაეცნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად პარტიის ზესტაფონის რაიკომის მუშაობის თაობაზე", ხაშურის რაიონის მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების მდგომარეობის შესახებ.

●

თეორიული კონფერენცია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორთა ჯგუფისა და პარტიის ბორჯომის რაიკომის ინიციატივით ბორჯომში გაიმართა თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ".

თანამედროვე საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებსა და იდეოლოგიური მუშაობის ამოცანებზე ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორებმა, პროფესორებმა გ. ბრეგაძემ და ი. ქობალიამ, დოკენტმა ა. ციციაშვილმა და სხვებმა. (საქინფორმი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

მართლწესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მიმდინარე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

(დასასრული)

მილიციის საპატრულო-საგუშაგო სამსახური, სრულყონ სისწლის სამართლის სამძებრისა და გამოძიების მუშაობა.

აამაღლონ მილიციის უბნის ინსპექტორთა როლი მართლწესრიგის დაცვაში. გააფართოონ მათი კავშირი მოსახლეობასთან. მოაგვარონ მილიციის ყოველდღიური თანამოქმედება ნებაყოფლობით სახალხო რაზმელებთან.

თანამიმდევრულად და მტკიცედ აწარმოონ ბრძოლა ლუმპენისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. შეამოწმონ ამ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა და განიხილონ შედეგები პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებ ში. განახორციელონ ლოთობის პრო-ფილაქტიკის, ლოთებზე საზოგადოებრივი და სამართლებრივი ზეშემოქმედების გაძლიერების, სპორტიანი სახმელებით ვაჭრობის დადგენილი წესების ზუსტად დაცვის, ნარკოლოგიურ დაწესებულებათა, მათ შორის საწარმოებში ამ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების უფრო ქმედითი ღონისძიებანი, გააქტიურონ ანტიალკოჰოლური პროპაგანდა, გახადონ იგი უფრო დამჯერებელი და ქმედითი.

სრულყონ სასწავლებლებში, ზოგადითს კოლექტივებსა და საცხოვრებელ ადგილებში არასრულწლოვანთა ზორის სამართალდარღვევებ ი ს პროფილაქტიკისა თ ვ ი ს მიმდინარე მუშაობა, გაუმჯობესონ ინდივიდუალური მუშაობა მოზარდებთან. უფრო ფართოდ განავითარონ დამრიგებლობა, შეფობა. საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა, კულტურის დაწესებულებებმა, განათლებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა შეიმუშაონ დამატებითი ღონისძიებანი არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის.

გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ. ყველგან დაამყარონ მკაცრი წესრიგი მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვასა და დაცვაში, გადაჭრით აღმოფხვრან უყაირათობა, მფლანგველობა, წამატებები და თვალის ახვევა. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში დატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. გააუმჯობესონ საკონტროლო-სარევიზიო აპარატის საქმიანობა. განამტკიცონ მილიციის სოციალისტური საკუთრების დატაცებათა წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური. აამაღლონ სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონების შესრულებისადმი საპრაკურორო ზედამხედველობის სიმწვავე და პრინციპულობა.

გააააქტიურონ ბრძოლა მუჭობიანობის, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ლოთობის, ფეხბურთელობის, ტუნეიანობის, ბოროტებათა ფესვებამდე ამოძირკვა. ეს ბრძოლა ეროვნული საქმეა. ეს ბრძოლა ეროვნული ამოცანაა. ეს ბრძოლა ეროვნული ამოცანაა. ეს ბრძოლა ეროვნული ამოცანა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

კინემატოგრაფიის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ სახალხო მხატვრისა

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისა და კინოფაქრავების სისტემაში აქტიური მუშაობისათვის, საბჭოთა კინოს მე-60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ სახალხო ფოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

ვისოცკის ფელიქს მიხეილის ძე — კინოოპერატორს.

კახიანს ომედი ვლადიმერის ძე — მსახიობს.

პაატაშვილს ლევან გიორგის ძე — კინოოპერატორს.

პატარაიას გურამ ვასილის ძე — კინორეჟისორს.

ღოღობერიძეს ლანა ლევანის ასულს — კინორეჟისორს.

ქაფანიძეს ზურაბ ვასილის ძე — მსახიობს.

შენგელაიას არიადნა ვსევოლოდის ასულს — მსახიობს.

შენგელაიას ელდარ ნიკოლოზის ძე — კინორეჟისორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

კაპანაძეს ლია დავითის ასულს — მსახიობს.

საყვარელიძეს ივანე ნიკოლოზის ძეს — მსახიობს.

ფირცხალავას გივი (გურამ) ნიკოლოზის ძეს — მსახიობს.

ჩხაიძეს ვასილ ისაკის ძეს — მსახიობს.

წიტაიშვილს გრიგოლ ალექსანდრეს ძეს — მსახიობს.

წულაძეს ბაადურ სოკრატის ძეს — მსახიობ-რეჟისორს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

აბესაძეს ოთარ დავითის ძეს — კინორეჟისორს.

ამასიისკის იგორ ვლადიმერის ძეს — კინოოპერატორს.

ანდრონიკაშვილს ოთარ კონსტანტინეს ძეს — კინორეჟისორს.

აბელედიანს ლომერ ბიძინას ძეს — კინოოპერატორს.

ბარამიძეს იური შერმანის ძეს — კინოოპერატორს.

გაბრიაძეს რევაზ ლევანის ძეს — კინოდრამატურგს.

გრუზინსკის პეტრე პეტრეს ძეს — კინოდრამატურგს.

გურგენიძეს ოთარ სოფრომის ძეს — კინორეჟისორს.

დვალიშვილს გივი ერასტის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარ რედაქტორს.

ებრალიძეს რევაზ სიმონის ძეს — კინოდრამატურგს.

თაბუკაშვილს ოლღა ვარდენის ასულს — კინომცოდნეს.

იოსელიანს ოთარ დავითის ძეს — კინორეჟისორს.

კვაჭაძეს ვალერიან ივლიანეს ძეს — კინორეჟისორს.

კოკოჩაშვილს მერაბ არჩილის ძეს — კინორეჟისორს.

ლავრელაშვილს გაბრიელ დავითის ძეს — კინორეჟისორს.

მაისურაძეს აბესალომ შალვას ძეს — კინოოპერატორს.

მგელაძეს ყარამან გიორგის ძეს — კინორეჟისორს.

მელქაძეს გივი პეტრეს ძეს — კინოოპერატორს.

მიქელაძეს ვახტანგ ევგენის ძეს — კინორეჟისორს.

ნამგალაშვილს ლევან ნაფტალის ძეს — კინოოპერატორს.

ნოზაძეს თენგიზ ანდრიას ძეს — კინორეჟისორს.

ონოფრიშვილს ირაკლი ივანეს ძეს — კინოოპერატორს.

უვანიას გურამ გრიგოლის ძეს — კინორეჟისორს.

რაჭველიშვილს გივი ვიქტორის ძეს — კინოოპერატორს.

სალუქვაძეს ანზორ სერგის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეორე შემოქმედებითი გაერთიანების მთავარ რედაქტორს.

სალუქვაძეს მიხეილ ალექსანდრეს ძეს — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის მთავარ რედაქტორს.

შარაბიძეს რამაზ ბორისის ძეს — კინორეჟისორს.

შენგელაიას გიორგი ნიკოლოზის ძეს — კინორეჟისორს.

შნაიდერს პავლე ლევის ძეს — კინორეჟისორს.

ჩხაიძეს იოსებ ალექსანდრეს ძეს — კინორეჟისორს.

წერეთელს კორინა დავითის ასულს — კინომცოდნეს.

წულაიას გენადი იასონის ძეს — კინორეჟისორს.

ჭიჭინაძეს ამირან ვალერიანის ძეს — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ რედაქტორს.

ჭუბაბრიას გია დავითის ძეს — კინორეჟისორს.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრისა:

მირზაშვილს რევაზ ივანეს ძეს — მხატვარს.

რთული ფილმის“ საამქროს უფროსს.

დოლიძეს ნელი გიორგის ასულს — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის უფროს რედაქტორს.

დონაძეს პიმენ სიმონის ძეს — ლანჩხუთის რაიონის სოფ. სუფსის კინოთეატრის კინომექანიკოსს.

დიშელს იგორ ლევის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

ვართიკიანს ლუსია ოვანესის ასულს — მემონტაჟეს.

ვეშაპიძეს ლევან ვლადიმერის ძეს — საჩხერის კინოთეატრის დამინისტრატორს.

კარდანახიშვილს ნინო სიმონის ასულს — მემონტაჟეს.

კვირიკაშვილს ივანე გიორგის ძეს — კინოგაქირავების ახალციხის განყოფილების დირექტორს.

კილაძეს შოთა სიმონის ძეს — კინოოპერატორს.

კოტრიკაძეს კოზეტა გიორგის ასულს — მემონტაჟეს.

ლაფერაძეს შოთა გიორგის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ფილმის დირექტორს.

ლომთათიძეს ოთარ ვლადიმერის ძეს — კინომექანიკოსთა სკოლის დირექტორის მოადგილეს.

მარგიშვილს გივი ზაქარიას ძეს — მხატვარ-დეკორატორს.

მაჩაიძეს ვაჟა პარმენის ძეს — ხმის ოპერატორს.

მიმინოშვილს გიორგი სტეფანეს ძეს — კინოთეატრ „სოხუმის“ ტექნიკურ ხელმძღვანელს.

ნანობაშვილს თენგიზ მიხეილის ძეს — ხმის ოპერატორს.

ნასარიძეს ლამარა გიორონტის ასულს — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მეთოდისტს.

ოტრადინსკაიას ლარისა ნიკოლოზის ასულს — მემონტაჟეს.

პაპაის ბორის მიხეილის ძეს — ქ. ბათუმის კინოთეატრ „ინტერნაციონალის“ ტექნიკურ ხელმძღვანელს.

რამიშვილს ამირან ბესარიონის ძეს — მახარაძის კინოთეატრის დირექტორს.

რეხვიაშვილს შოთა ივანეს ძეს — ბოლნისის რაიონის კინოფიკაციის დირექტორს.

სიმხაევს მიხეილ იზრაილის ძეს — კინორეჟისორს.

სოხაძეს ლია ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის კინოფოტოდოკუმენტების განყოფილების გამგეს.

სტოევს გენადი ივანეს ძეს — აფხაზეთის ასსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს.

ტაბატაძეს სერგი დავითის ძეს — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კინოფიკაციისა და კინოგაქირავების სამმართველოს უფროსს.

ყუფარაძეს ზურაბ რაჟდენის ძეს — საქართველოს სსრ სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორს.

შავიშვილს ირინე სერგის ასულს — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ინსპექტორს.

ჩირკბაიას მარიამ ვლადიმერის ასულს — გაგრის კინოთეატრის კინომექანიკოსს.

ცეცხლაძეს ჯუმბერ იოსების ძეს — ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის კინოფიკაციისა და კინოგაქირავების განყოფილების გამგეს.

ცინცაძეს ლევან გალაქტიონის ძეს — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის უფროს რედაქტორს.

ციციშვილს იური კონსტანტინეს ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საამქროს უფროსს.

ცომაიას ოთარ აბესალომის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ განყოფილების უფროსს.

ცხაკაიას ბორის კირილეს ძეს — მხატვარ-დეკორატორს.

ჭავჭანიძეს ირაკლი ერასტის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედაქტორს.

ჭიჭინაძეს რევაზ ვლადიმერის ძეს — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ფილმის დირექტორს.

ხუროძეს ვარლამ ალექსანდრეს ძეს — წულუკიძის რაიონის კინოქსელის კინომექანიკოსს.

ჯინჯუას რაისა ალექსის ასულს — ქ. გუდაუთის უფროს კინომექანიკოსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 31 აგვისტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

კინემატოგრაფიის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კინემატოგრაფიის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საბჭოთა კინოს მე-60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ბადრიძე გიორგი დავითის ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედაქტორი.

დარახველიძე ალიონა ვასილის ასული — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედკოლეგიის წევრი.

ვალიშვილი ვლადიმერ ეგორის ძე — კინორეჟისორი.

ვართანოვი ბორის აკიმის ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი.

იმნაძე ლარისა მიხეილის ასული — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე.

კვესელავა რევაზ აკაკის ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ პირველი შემოქმედებითი გაერთიანების მთავარი რედაქტორი.

კუსრაშვილი ნოდარ იოსების ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გადამღები ტექნიკის საამქროს უფროსი.

მეგრელიშვილი თეიმურაზ ირაკლის ძე — კინოოპერატორი.

სულთანიშვილი ავთანდილ გიორგის ძე — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის საამქროს უფროსი.

ხომერიკი შალვა იოსების ძე — კინორეჟისორი.

ჯუდელი ანზორ აკაკის ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გაერთიანება „დებიუტის“ მთავარი რედაქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 31 აგვისტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

კინემატოგრაფიის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო წოდების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისა და კინოფაქრავების სისტემაში აქტიური მუშაობისათვის, საბჭოთა კინოს მე-60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ სახალხო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

ვისოცკის ფელიქს მიხეილის ძე — კინოოპერატორს.

კახიანს ომედი ვლადიმერის ძე — მსახიობს.

პაატაშვილს ლევან გიორგის ძე — კინოოპერატორს.

პატარაიას გურამ ვასილის ძე — კინორეჟისორს.

ღოღობერიძეს ლანა ლევანის ასულს — კინორეჟისორს.

ქაფანიძეს ზურაბ ვასილის ძე — მსახიობს.

შენგელაიას არიადნა ვსევოლოდის ასულს — მსახიობს.

შენგელაიას ელდარ ნიკოლოზის ძე — კინორეჟისორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

კაპანაძეს ლია დავითის ასულს — მსახიობს.

საყვარელიძეს ივანე ნიკოლოზის ძეს — მსახიობს.

ფირცხალავას გივი (გურამ) ნიკოლოზის ძეს — მსახიობს.

ჩხაიძეს ვასილ ისაკის ძეს — მსახიობს.

წიტაიშვილს გრიგოლ ალექსანდრეს ძეს — მსახიობს.

წულაძეს ბაადურ სოკრატის ძეს — მსახიობ-რეჟისორს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

აბესაძეს ოთარ დავითის ძეს — კინორეჟისორს.

ამასიისკის იგორ ვლადიმერის ძეს — კინოოპერატორს.

ანდრონიკაშვილს ოთარ კონსტანტინეს ძეს — კინორეჟისორს.

აბელედიანს ლომერ ბიძინას ძეს — კინოოპერატორს.

ბარამიძეს იური შერმანის ძეს — კინოოპერატორს.

გაბრიაძეს რევაზ ლევანის ძეს — კინოდრამატურგს.

გრუზინსკის პეტრე პეტრეს ძეს — კინოდრამატურგს.

გურგენიძეს ოთარ სოფრომის ძეს — კინორეჟისორს.

დვალიშვილს გივი ერასტის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარ რედაქტორს.

ებრალიძეს რევაზ სიმონის ძეს — კინოდრამატურგს.

თაბუკაშვილს ოლღა ვარდენის ასულს — კინომცოდნეს.

იოსელიანს ოთარ დავითის ძეს — კინორეჟისორს.

კვაჭაძეს ვალერიან ივლიანეს ძეს — კინორეჟისორს.

კოკოჩაშვილს მერაბ არჩილის ძეს — კინორეჟისორს.

ლავრელაშვილს გაბრიელ დავითის ძეს — კინორეჟისორს.

მაისურაძეს აბესალომ შალვას ძეს — კინოოპერატორს.

მგელაძეს ყარამან გიორგის ძეს — კინორეჟისორს.

მელქაძეს გივი პეტრეს ძეს — კინოოპერატორს.

მიქელაძეს ვახტანგ ევგენის ძეს — კინორეჟისორს.

ნამგალაშვილს ლევან ნაფტალის ძეს — კინოოპერატორს.

ნოზაძეს თენგიზ ანდრიას ძეს — კინორეჟისორს.

ონოფრიშვილს ირაკლი ივანეს ძეს — კინოოპერატორს.

უვანიას გურამ გრიგოლის ძეს — კინორეჟისორს.

რაჭველიშვილს გივი ვიქტორის ძეს — კინოოპერატორს.

სალუქვაძეს ანზორ სერგის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეორე შემოქმედებითი გაერთიანების მთავარ რედაქტორს.

სალუქვაძეს მიხეილ ალექსანდრეს ძეს — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის მთავარ რედაქტორს.

შარაბიძეს რამაზ ბორისის ძეს — კინორეჟისორს.

შენგელაიას გიორგი ნიკოლოზის ძეს — კინორეჟისორს.

შნაიდერს პავლე ლევის ძეს — კინორეჟისორს.

ჩხაიძეს იოსებ ალექსანდრეს ძეს — კინორეჟისორს.

წერეთელს კორინა დავითის ასულს — კინომცოდნეს.

წულაიას გენადი იასონის ძეს — კინორეჟისორს.

ჭიჭინაძეს ამირან ვალერიანის ძეს — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ რედაქტორს.

ჭუბაბრიას გია დავითის ძეს — კინორეჟისორს.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრისა:

მირზაშვილს რევაზ ივანეს ძეს — მხატვარს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 31 აგვისტო.

საბჭოთა კავშირის მოკეთეთა ყრილობა

მოკლედ

ყოველი მხრიდან

10 სექტემბერი

ჩიკაგო, 10 სექტემბერი. აქ გაიხსნა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს II ყრილობა. 150-ზე მეტი დელეგატი, რომლებიც ამერიკასსრ კავშირის მეგობრობის სანფრანცისკოს, ლოს-ანჯელესის, ვაშინგტონის, ნიუ-იორკის, დეტროიტის, ფილადელფიის — სულ ამერიკის შეერთებული შტატების 25 დიდი ქალაქის საზოგადოებებს წარმომადგენლობენ, ჩამოვიდნენ აქ, რათა განიხილონ აქტუალური საკითხები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მოკეთე ამერიკელთა წინაშე დგას ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისათვის. შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის დელეგაციას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება.

მომხსენებელმა, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა რ. მორფორდმა გულისწყრომით დაგმო დაძაბულობის შენელების. ამერიკელი მოწინააღმდეგენი, რომლებიც ცდილობენ ჩირქი მოსცხონ და სახელი გაუტეხონ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, ჩაშალონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ვაშინგტონიდან მომავალი ანტისაბჭოურობის ახალი ტალღა, თქვა მან, გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის გარკვეული წრეების მისწრაფებამ, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ პენტაგონის ასიგნებათა შემდგომ გადიდებას, უახლეს სისტემათა შეიარაღების შემუშავებასა და განვითარებას. ეს კამპანია არ გამოხატავს რიგითი ამერიკელების განწყობილებას, რომლებიც გამოდიან გამალებული ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ, მხარს უჭერენ მშვიდობას და საბჭოთა კავშირთან მეგობრობას. ამ პირობებში, თქვა რ. მორფორდმა, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს უპირველესი ამოცანაა კიდევ უფრო ფართოდ გაანაღოს ბრძოლა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის, გააცნოს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს სენატს წევრებს ამერიკის საზოგადოებრიობის ნამდვილი განწყობილება.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მარტო მინესოტის შტატის განყოფილებამ ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის ბრძოლაში 10 ათასი ამერიკელის მხარდაჭერა შეიპირა, თქვა მისმა წარმომადგენელმა კლიფ ჰერსენმა. ეს საზოგადოება კი მხოლოდ პატარა შემადგენელი ნაწილია საზოგადოებრივი ორგანიზაციის კოალიციისა, რომელიც სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის იღვწის, თქვა მან.

ფორუმის დელეგატები ტაშით შეხვდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მისალმებას.

ე. კენედის გაანცხადება

ვაშინგტონი. 10 სექტემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტისათვის დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა შორის ბრძოლაში საარჩევნო კამპანიის წინ დიდნაწილი შემობრუნება მოხდა. სენატორმა ე. კენედიმ, რომელიც ამბობდა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე ჩემი კანდიდატურის დასახელებას არ ვაპირებ და ახლანდელი პრეზიდენტის ჯ. კარტერის კანდიდატურას დავუჭერო მხარს, განაცხადა, რომ დაითანხმა ოჯახი თავისი კანდიდატურის დასახელებაზე.

აქამდე პრესა იუწყებოდა, რომ ე. კენედის ცოლი და, მეტადრე დედა, რომელმაც პოლიტიკურ მშვიდობას და საბჭოთა კავშირთან მეგობრობას. ამ პირობებში, თქვა რ. მორფორდმა, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს უპირველესი ამოცანაა კიდევ უფრო ფართოდ გაანაღოს ბრძოლა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის, გააცნოს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს სენატს წევრებს ამერიკის საზოგადოებრიობის ნამდვილი განწყობილება.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მარტო მინესოტის შტატის განყოფილებამ ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის ბრძოლაში 10 ათასი ამერიკელის მხარდაჭერა შეიპირა, თქვა მისმა წარმომადგენელმა კლიფ ჰერსენმა. ეს საზოგადოება კი მხოლოდ პატარა შემადგენელი ნაწილია საზოგადოებრივი ორგანიზაციის კოალიციისა, რომელიც სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის იღვწის, თქვა მან.

ფორუმის დელეგატები ტაშით შეხვდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მისალმებას.

გვეტყობინებენ სპეციალისტ და ახალი ამბების საკვანძოს კორესპონდენტები

საზეიმო სხდომა ფხენიანში

ფხენიანი, 10 სექტემბერი. ეროვნული დღესასწაულის — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 31-ე წლისთავის გამო აქ გაიმართა ქვეყნის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრნენ კორეის შრომის პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები.

მოხსენება გააკეთა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა პაკ სენ ჩერმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა რევოლუციის დიდი მონაპოვარი და კორეელი ხალხის ცხოვრების ისტორიული მოვლენაა. სახალხო ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვანი წარმატებანია მიღწეული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით დიდად იცვალა სახე კორეელმა ხალხმა, რომელიც მჭიდროდ შეკავშირდა თავისი მებრძოლი ავანგარდის — კორეის შრომის პარტიის გარშემო.

მიწისძვრის პროგნოზისათვის

ტოკიო, 10 სექტემბერი. იაპონიის მთავრობამ შეიმუშავა მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვისა და მაღალი სეისმური აქტიურობის რაიონებში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისა და ნგრევის თავიდან აცილების კომპლექსური პროგრამა. დასახულ ღონისძიებებს შორის ძირითადი ყურადღება ეთმობა მიწისძვრის პროგნოზირებისა და მოსახლეობისათვის დროული შეტყობინების სისტემის გაუმჯობესებას.

ჩილეში წყვიტადი ჩამორწყა

სანტიაგო, 10 სექტემბერი. საბჭოს ადგილობრივ ადმინისტრაციებში 4-დან 11 სექტემბრამდე ადგილობრივ ეროვნულ ეროვნულ სოლიდარობა. მათ შორის ჩვენი ქვეყნისაც, აწყობდა ჩილელ ხალხთან სოლიდარობის კვირეულს. როგორც ჩილელ დემოკრატებთან სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის წევრი, 1972 წელს ვიყავი ჩილეში გამართულ ეროვნულ დღესასწაულზე. მაშინ ხელისუფლების სათავეში იყო სახალხო ერთიანობის მთავრობა. შევხვდი საბჭოთა ხალხის საუკეთესო მეგობარს, პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს. ვნახე როგორ აშენებდნენ ჩილელი მუშები, სოფლის მშრომელები ახალ ცხოვრებას, ვუამბე მათ ჩვენი ქვეყნის შესახებ, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს გავუზიარე ჩვენი დიდი გამოცდილება და ცოდნა.

1973 წელს ჩილეში სამხედრო-ფაშისტური დიქტატურა დამყარდა, ქვეყანა წყვდიადმა მოიცვა.

დღეს ხუნტა ავლაბინდებურად ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმისა და ჩილეს ოლიგარქიის ინტერესებს ემსახურება.

ამ პოლიტიკის შედეგად ხალხის უმრავლესობა შიმშილისა და სიღატაკისთვის არის განწირული. შრომისუნარიანი ჩილელების დაახლოებით 20 პროცენტი უმუშევარია.

ჩილეში გადატრიალების შემდეგ 30 ათასი კაცი მოკლეს და აწამეს, 200 ათასზე მეტი საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს, დაახლოებით მილიონი ჩილელი იძულებული იყო დაეტოვებინა სამშობლო. ქვეყანაში დევნიან პროფკავშირებს.

მთელი მსოფლიოსათვის კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირის, მისი ხალხის, კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მკაფიო პოზიცია, რომელიც არაერთხელ გამოუცხადებიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებს. კრემლში 1976 წლის 23 დეკემბერს ლუის კორვალანთან შეხვედრისას ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და თავიანთი განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა ძმური სოლიდარობის პრინციპი ჩვენი პარტიისათვის წმიდათაწმიდაა. ამიტომ კვლავაც დავეხმარებით, ყოველნაირ მხარდაჭერას გავუწევთ თქვენს პარტიას, ჩილეს სხვა ანტიიმპერიალისტურ ძალებს თქვენს სამშობლოში თავისუფლებისა და დემოკრატიის აღდგენისათვის ბრძოლაში. ჩვენი პარტია მუდამ იქნება მებრძოლი ჩილელი ხალხის მხარეზე“.

ჩილელ ხალხთან სოლიდარობის მოძრაობას ჩვენს ქვეყანაში ღრმა ფესვები და ტრადიციები აქვს. საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც კარგად ესმით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს და რაოდენ საჭიროა ჩილეს სამხედრო ხუნტის დანაშაულობათა წინააღმდეგ საერთაშორისო საპროტესტო მოძრაობის გაძლიერება, ჩილელ ხალხთან სოლიდარობა, აქტიურად მონაწილეობენ ამ ფართო მოძრაობაში. მთელ ქვეყანაში ეწყობა ფაშიზმთან მებრძოლი ამ ქვეყნის დემოკრატიული ძალების მხარდაჭერის ღონისძიებანი. სოლიდარობის საერთაშორისო კვირეული კვლავ ცხადყოფს ჩილელ პატრიოტებთან საბჭოთა ხალხის ურღვევი სოლიდარობას.

ვ. გოგოძე,

ჩილელ პატრიოტებთან სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის წევრი.

დაიწყო მშვიდობიანი დღეები ნიკარაგუაში. ხალხის წინაშე ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის აღდგენისა და ცხოვრების ნორმალიზაციის დიდი ამოცანებია. ეს მანაგუელები სიხარულით კითხულობენ ახლად გამოსულ გაზეთში ცნობებს რევოლუციური მთავრობის მშვიდობიანი მშენებლობის პირველი ღონისძიებების შესახებ.

ადნ-საკდისის ფოტო.

„კომუნისტის“ მიმოხილვა

გასულ კვირას

● კონფერენცია ჰავანაში ● ახალი გარიგება ჰაიფაში ● მდგომარეობა ირანის ქურთისტანში.

განვლილი კვირის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენა უდავოდ იყო სოციალისტიური კუბის დედაქალაქში გამართული მეუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების VI კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს დამოუკიდებელი ქვეყნების თითქმის ორი მესამედი (92 სახელმწიფო) და მათ გარდა რამდენიმე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორიცაა ანა, მაგალითად, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია და ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტი.

ამ ერთ-ერთი უდიდესი და ავტორიტეტული საერთაშორისო ფორუმის მსვლელობა და შედეგები საკმაოდ დაწერილებით გამუქდა ჩვენს პრესაში. ამიტომ ყურადღებას შევიარერებ მხოლოდ მეუმხრობლობის მოძრაობაში განხეთქილების შეტანისა და ვითარების გამწვავების ცდებზე.

საქმე ის გახლავთ, რომ მეუმხრობლობის მოძრაობა ჩვენი დროის საერთაშორისო ცხოვრების არა სოციალური, არამედ პოლიტიკური მოვლენაა. მასში შემავალი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია არა რაღაც მთიური მესამე სოციალურ-ეკონომიკური ფორმაცია, არამედ ერთიანი პოლიტიკური მიზანი — ანტიიმპერიალიზმი, ანტიკოლონიალიზმი, თავისუფლება, პმშვიდობა და უშიშროება სამხედრო ბლოკებში გაერთიანებაზე უარის თქმის საფუძველზე.

სოციალური თვალსაზრისით კი აქ წარმოდგენილია არსებულ სისტემათა მთელი სპექტრი: როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური ქვეყნები და აგრეთვე ეგრეთ წოდებული სოციალისტური ორიენტაციის სახელმწიფოები. მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ხალხთა დამოუკიდებელი განვითარებისა და საზოგადოებრივი სტრუქტურის თავისუფლად არჩევის უფლების აღიარება.

კონფერენციის წინ და მის მსვლელობაში დასავლეთის პრესამ და გარკვეულ წრეებში აღუდა აურზაური იმის თაობაზე, თითქოს კუბისა და მოძრაობაში მონაწილე სხვა სოციალისტური ქვეყნების ზეგავლენით ყოფილიყოს იმის ცდები, რომ მეუმხრობლობის „ხომალდი“ გადაიყვანონ საბჭოთა „ნავსადგურში“, რასაც გამოუწვევია განხეთქილება „პროფსაბჭოთა“ და „ზომიერ“ მმდინარეობათა შორის, ამან კი შესაძლოა, საერთოდ დაშალოს მეუმხრობლობის მოძრაობაო.

ამ პროპაგანდისტული კამპანიის მიღმა სრულიად აშკარად ჩანდა იმის ცდა, რომ გაერიყათ მოძრაობიდან ან იზოლაციაში მოექციათ ისეთი სოციალისტური ქვეყნები, როგორიც არის კუბა (აფრიკის ხალხებისათვის განმათავისუფლებელ მოძრაობაში გაწეული დახმარებისათვის) და ვიეტნამი (პოლ პოტ-იენგ სარის წინააღმდეგ ომაბუჩიელი ხალხის აჯანყების მხარდაჭერისათვის).

ნახევარკუნძულიდან. ამასთან ტელ-ავივი დათანხმდა დაიჩქაროს ჯარების გაყვანის მორიგი ეტაპი და დაასრულოს იგი სადათის „მშვიდობიანი ინიციატივის“ მეორე წლისთავისათვის. ყოველივე ეს პოლიტიკურ ავანსცენაზე ხდება, ხოლო კულისებიდან მოისმის ხმა, რომ ჰაიფაში დაიწყო კაიროს და ტელ-ავივის თანამშრომლობის ახალი ეტაპი, ამჯერად სამხედრო სფეროში.

არაბული სამყაროს აღშფოთება გამოიწვია სადათის განცხადებამ, რომ იგი იზიარებს ისრაელის მთავრობის თვალსაზრისს იერუსალიმის „განუყოფელი ხასიათის“ შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეგვიპტემ ოფიციალურად აღიარა (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დადგენილების საწინააღმდეგოდ) იერუსალიმის მიტაცება და მისი ისრაელის დედაქალაქად გამოცხადების ფაქტი.

იმავე კონტექსტით განიხილებოდა პალესტინის საკითხიც. მართალია, ეს პრობლემა ვერა და ვერ გადაიჭრა, მაგრამ ერთ საკითხში ორივე მხარემ სრული ერთსულოვნება გამოიჩინა: ისინი ფაქტობრივად უგულებელყოფენ

ხილიც, ბოსტნეულიც, თბილისელებო!

აგვისტოს მიწურულს ჩვეულებრივზე უფრო ხალხმრავალი ხდება ჩვენი დედაქალაქი. აგარაკებიდან ბრუნდება დიდ-პატარა.

—ამ დროს ერთიორად მეტი ხილი და ბოსტნეული სჭირდება ჩვენს დედაქალაქს — უთხრა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ჯ. ქურხულს „თბილხილბოსტანეაჭრობის“ დირექტორმა ბ. თალიამ...

—მომხმარებელს რომ დროულად მივაწოდოთ ხარისხიანი ხილი და ბოსტნეული, გადავწყვიტეთ მოგვეწყო „მწვანე“ ბაზრობები. აგვისტოს ბოლო დიდად ყოველ პარასკევსა და შაბათს ეწყობა ღია ვაჭრობა. ამგვარი ბაზრობები გაგრძელდება სექტემბერ-ოქტომბერშიც.

„თბილხილბოსტანეაჭრობა“ მუშაობს გრაფიკის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს მშრომელთა მოთხოვნას ამა თუ იმ ხილსა და ბოსტნეულზე. აი, დღეისათვის გრაფიკის მიხედვით ქალაქში ყოველდღიურად შემოდის 300 ტონა პამიდორი, 120 ტონა კარტოფილი, 50 ტონა ხახვი, 30 ტონა კომბოსტო და აგრეთვე ბადრიჯანი, სტაფილო, ჭარხალი და ნიორი. ყოველდღიურად შემოგვაქვს აგრეთვე 40 ტონა თესლოვანი ხილი, 60 ტონა ყურძენი, კურკოვანი ხილი და ბაღჩეული.

პარასკევობით და შაბათობით, როცა იმართება ბაზრობები, ხილბოსტნეული ერთიორად მეტი შემოგვაქვს.



ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ხარისხოვანი ხილითა და ბოსტნეულით შეუფერხებლად გვამარაგებენ მცხეთელები, გარდაბნელები და დმანისელები. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყოდით ბორის, კასპისა და ქარელის რაიონებზე.

გვინდა თბილისელებმა იცოდნენ, რომ დედაქალაქის ყოველ რაიონში ხილითა და ბოსტნეულით ვაჭრობისათვის გამოყოფილია მოსახერხებელი ადგილები.

● ●

სურათებზე: ხილბოსტნეულის ბაზრობა თბილისში.

ნ. ვარდიაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თუ საქმეს ყველა ერთად მოვკიდებთ ხელს...

საინიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის ლაშქრობა გრძელდება

თბილისში დამთავრდა საინიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ერთთვიური. მისი შედეგების შესახებ საქინფორმის კორესპონდენტი მ. ხანანაშვილი ესაუბრა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსს, მილიციის პოლკოვნიკს ჯ. მიქელაძეს.

— ამ დღეებში ერთი თბილისელის გულისწყრომით აღსავსე წერილი მივიღეთ, — თქვა ჯ. მიქელაძემ. — იგი გვწერს: „შვებულებიდან დავბრუნდით და ვეღარ ვიცანით ჩვენი ქალაქი. რა ხდება? ყოველ ფეხის ნაბიჯზე მილიციელი ან რაზმელი დგას — ქუჩას მშვიდად ვეღარ გადახვალ. წლის ამ დროს ჩვენს ქალაქში ბევრი ტურისტი ჩამოდის. რას იფიქრებენ ისინი?!“. მიუხედავად იმისა, რომ წერილის ავტორმა ერთგვარი დაკვირვების უნარი გამოიჩინა, იგი ცდება. ქალაქის მილიციის შტატი არ გაზრდილა. საქმე ის არის, რომ ჩვენი მილიციელები ახლა უფრო აქტიურად ებრძვიან საზოგადოებრივი წესრიგის ეგრეთწოდებულ წვრილმან დარღვევებს, რომლებსაც სისხლის სამართლის კი არა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მოსდევს. ვინაიდან, როგორც პრაქტიკამ ცხადყო, ასეთი დარღვევები ძალზე ბევრია, გადავწყვიტეთ საქმეში ჩაგვება საზოგადოებრიობა. ჩვენი საიმედო თანაშემწეები გახდნენ სახალხო რაზმელები. აგვისტოს რეიდებში ყოველდღიურად მონაწილეობდა ექვსი ათასზე მეტი კაცი.

ჩვენს ქალაქში სულ უფრო ძლებულობს საშიში დანაშაულობანი. სამაგიეროდ ხშირია წვრილმანი დარღვევები. ეს რა საკვირველია, არ შეშვენით თბილისელებს. მაგალითად, თუ თვალს გავადევნებთ ვაჟა-ფშაველას პროსპექტის სავალ ნაწილს, უხერხულობას ვიგრძნობთ ჩვენი ქალაქელების გამო. აქ ნამდვილი ქაოსია: ქუჩას იქ გადადიან, სადაც მოეპრიანებათ, მანქანებს აჩერებენ, სადაც მოესურვებათ. ყოველივე ეს კი ავარიულ სიტუაციებს ქმნის. ნერვიულობენ ქვეითად მოსიარულენიც და მძღოლებიც. არ წყდება მილიციელთა სასტვენის ხმა. აგვისტოში ქუჩაში მოძრაობის წესები 15 ათასმა თბილისელმა დაარღვია. მარტო ქუჩის არასწორი გადასვლის გამო ჯარიმების საერთო თანხამ დაახლოებით სამი ათასი მანეთი შეადგინა. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ თხუთმეტი ათას წესრიგის დამრღვევს დიდხანს ემახსოვრებათ საჯარო გაკვეთილი. იმათ, ვინც ყოფილა ჩვენი ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებში ან საზღვარგარეთ, იციან: სანამ წითელი შუქი ანთია, ქვეითად მოსიარულენი ადგილიდან არ იძვრიან, გზაჯვარედინი თავისუფალი რომც იყოს. არ რატომ ცდება წვრილის ავტორი, როცა ფიქრობს, თითქოს ჩვენი ქალაქის სტუმრებს შეიძლება ცუდი შთაბეჭდილება შეექმნათ თბილისზე. სტუმართა წინაშე უხერხულობა კი სრულიად სხვა მიზეზის გამო უნდა ვიგრძნოთ: ჩვენს ქუჩებში არ არის ელემენტარული დისციპლინა და წესრიგი.

ძნელია წარმოიდგინო ადამიანი, რომელიც სტუმრად რომ მივა, პალტოს მასპინძლის მაგიდაზე დაადგებს. ქეციერის წესები არ მისცემს ამის ნებას. ავტომობილს კი აჩერებენ ყველგან, სადაც მოესურვებათ. სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკები, სანამ ამა თუ იმ ამკრძალავ ნიშანს დადებენ ყოველთხრივ აწონ-დაწონიან ამ გადაწყვეტილებას. და თუ ასეთი ნიშანი გაჩნდა, ესე იგი აუცილებელია. ბევრი გაოცებას გამოთქვამს: ვითომ, რატომ არისო მანქანის გაჩერება აკრძალული რუსთაველის პროსპექტზე? პასუხი მარტივია: ჩვენი მთავარი მაგისტრალი ძალზე გადატვირთულია ტრანსპორტით. აქ ექვსრიგადაა მოძრაობა: სამი ერთ მხარეს, სამი საწინააღმდეგო მხარეს. პროსპექტის სავალ ნაწილზე მანქანის გაჩერება ორ რიგს გადაეტავს. თუ ამას დავუშვებთ, ავტომობილების ასეთი [illegible] ლის პირობებში აუცილებლად მოხდება მოძრაობის შეფერხება.

სამწუხაროდ, ბევრისათვის ხშირად გვიხდება იმის შეხსენება, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოწევა სასტიკად აკრძალულია. ზოგიერთი ჩვენი მოქალაქე აბოლებს ავტობუსსა თუ ტროლეიბუსში, ანგარიშს არ უწევს, რომ მის გვერდით არიან ბავშვები, ქალები, მოხუცები. შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ წესრიგის დამრღვევთა უმრავლესობას შეადგენენ მოზარდები, რომლებსაც საეჭვოა ოჯახში სიგარეტის წევის ნებას აძლევდნენ. გარეთ კი ვერავინ ბედავს მათთვის შენიშვნის მიცემას.

ამგვარი ინერტულობა, გულგრილობა „ბავშვური ცელქობისადმი“ იმითაც არის მავნებელი, რომ მოზარდებს შეიძლება გამოუმუშავდეთ სრული უპასუხისმგებლობის გრძნობა.

ამგვარად ერთთვიური დამთავრდა. რა არის მისი მთავარი შედეგი? უწინარეს ყოვლისა ის, რომ ქალაქის [illegible] თუ საქმეს [illegible] ერთად მოვკიდებთ ხელს, თბილისის საინიმუშო [illegible] ქალაქად [illegible] ვასებით რეალური გახდება. ერთთვიურის დროს ჩვენ ბევრი მოზალისე თანაშემწე შევიძინეთ. კარგი ინიციატივა წამოაყენეს სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების სახალხო რაზმის შტაბის აქტივისტებმა, რომლებმაც. იკისრეს წერეთლის პროსპექტისათვის გაეწიათ შეფობა. სწორედ ამ პროსპექტზე მდებარეობს მათი საწარმო. მათს მაგალითს სხვა შრომითმა კოლექტივებმაც უნდა მიბაძონ.

ყველას გვიყვარს ჩვენი ქალაქი, მაგრამ ეს სიყვარული მაღალფარდოვანი სიტყვებით კი არა, სასარგებლო საქმით უნდა დავამტკიცოთ. ამის შესაძლებლობა ყველა თბილისელს აქვს. დიახ, ერთთვიური დამთავრდა, მაგრამ საინიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის ლაშქრობა კვლავ გრძელდება. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ გარჯა დაგვიფასდება.

მედლები, რეკორდები...

UNIVERSIADA MEXICO 79

დაიწყო მეხიკოს უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული ინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში. გამოვლინდნენ პირველი გამარჯვებულებიც. ბირთვის კვრაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს რეკორდსმენმა უდო ბეიერმა (გდრ) ყველას აჯობა. მან ბირთვი ჰკრა 20,49 მეტრზე (უნივერსიადის რეკორდი). რუმინელი ილიე ფლორიუ პირველი იყო 10 კილომეტრზე რბენაში. მისი შედეგი 29.56,1. რიბინსკელმა ეკატერინე მსორნოვამ პირველობა მოიპოვა ხუთჭიდში (4497 ქულა), ხოლო დონეცველი ვალერი პოდლუჟნი უძლიერესი იყო სიგრძეზე ხტომაში (8,16 მ). მოსკოველმა ნიკოლოზ ჩერნეცკიმ 400 მეტრზე რბენაში გაიუმჯობესა სსრ კავშირისა და უნივერსიადების რეკორდი (45,12). რუმინელმა ნატალია მარაშესკუმ ოქროს მედალი მიიღო 1500 მეტრზე რბენაში გამარჯვებისათვის (4.13,9), ხოლო ამერიკელმა მაიკ რობერტსონმა 100 მეტრზე რბენაში (10.19). სიმაღლეზე მხტომელთა შორის საუკეთესო იყო უნგრელი ანდრეა მატი (194 სმ). მას 2 სანტიმეტრით ჩამორჩა მსოფლიოს რეკორდსმენი, იტალიელი სარა სიმეონი.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ქალათბურთელ ქალთა გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს ამერიკელებმა ანგარიშით 83:81. ახლა ჩვენი ქალათბურთელები მხოლოდ მეხუთე ადგილისთვის განაგრძობენ თამაშს. მორიგი მატჩი მოიგეს საბჭოთა ფრენბურთელმა ქალებმა. მათ დაამარცხეს ამერიკელთა ნაკრები — 3:0.

სსრ კავშირის რაბინისტ ვაჟთა ნაკრებმა გუნდურ ასპარეზობაში ყველას აჯობა. ცხადია, ნაკრების წევრებს ოქროს მედლები ხვდათ წილად.

თავი ისახელა ლენინგრადელმა ვლადიმერ ტარასოვმა. მან 200 მეტრზე ბრასით ცურვაში გაიმარჯვა.

რიგის საზონათშორისო

ლატვიის დედაქალაქ რიგაში გრძელდება მოკიდრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ასპარეზობა. სამი ტურის შემდეგ გადადებული ტიტები ასე, დამთავრდა: რომანიშინმა მოუგო ტროიოს, მედნისმა — ბუაზიზს, პოლუგაევსკიმ — მაილოს, რიმსდეიკმა — ტარიანს, ტალმა—ცეშკოვსკის, ტროიოსმა — კუზმინს, გეორგიუმ — ბუაზიზს. დაზავდნენ როდრიგესი და ცეშკოვსკი. მეხუთე ტურში ტალმა რიგით მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან დაამარცხა კუზმინი. ბუაზიზმა მოუგო ტროიოს, ლარსენმა — რიბლის, პოლუგაევსკიმ — როდრიგესს, გრინფელდმა — მედნის. ყაიმით დამთავრდა ტარიან-გეორგიუს და რომანიშინ-მაილსის პარტიები. ტალს 4 ქულა აქვს, ლარსენს — 3,5, გეორგიუს და პოლუგაევსკის — 3-3, ლუბოევიჩსა და მაილს — 2,5-2,5 ქულა.

ფეხბურთის ამგები

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მონაწილეობისათვის საბერძნეთში გაეშგზავრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები. მისი შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — დასაევი და გონტაძარი; მცველები — პრიგოდა, ნიკულინი, სამოხინი, ხიდიატულინი, ბუბნოვი და მახოიკოვი; ნახევარმცველები — შავლო, მაქსიმენკოვი, ყიფიანი, სიდოროვი და გავრილოვი; თავდამსხმელები — იარცევი, ჩერენკოვი, შენგელია, გესი და იურჩიშინი.

გაიმართა პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეთორმეტი ტურის მატჩები. ქუთაისის „ტორპედომ“ მიიღო ლენინგრადის „დინამო“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. გათამაშებას კვლავ ლიდერობს ლვოვის „კარპატი“ — 45 ქულა. ქუთაისის „ტორპედო“ 33 ქულით მეთერთმეტე ადგილზეა.

მეორე ლიგის მეოთხე ზონის გუნდების საკავშირო ასპარეზობის ოცდამეთექვსმეტე ტურის მატჩები საქართველოს კოლექტივებმა ასე დაამთავრეს: „რუბინი“ (ყაზანი)-„დინამო“ (სოხუმი) — 0:0, „ტორპედო“ (ტოლიატი)-„დინამო“ (ბათუმი) — 0:3, „ტურბინა“ (ნაბერეჟნეი ჩელნი)-„დინამო“ (ზუგდიდი) — 0:0. „კოლხეთი“ (ფოთი)-„ავტომობილისტი“ (ბაკო) — 3:0, „გურია“ (ლენინაკანი)-„პროგრესი“ (ციხისძირი) — 8:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია)-„ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — 3:0, „დიკა“ (გორი)-„ხაზარი“ (ლენქორანი) — 1:0. ტურნირის 46 ქულით ლიდერობს ამოვრანის „კოტაიკი“. სტეფანაკერტის „ყარაბახს“, ლენინაკანის „გურიასა“ და სამტრედიის „ლოკომოტივს“ 44-44 ქულა აქვთ და მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ.

სად, რა, როდის

გუშინ, გუშინწინ

მოტოსპორტი. რუსთაველში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატისა და სპორტის ტექნიკურ სახეობებში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მოტო-სიგნეტიანი-ცილინდრ წრიულ რბოლაში. გუნდური შეჯიბრება მოიგეს ესტონელებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ ლატვიელები, მესამეზე — უკრაინელები. საქართველოს ნაკრებმა მერვე ადგილი დაიკავა. ჭაბუკთა შორის 125 კუბური სანტიმეტრის კლასში თბილისელმა ვ. თარალაშვილმა მეხუთე ადგილი დაიკავა.

ველოსპორტი. საფრანგეთის გზებზე გრძელდება მრავალდღიანი ველორბოლა „ტურ დე ლა ვენერი“. მეხუთე ეტაპის ოერეკრბოლაში (109 კმ და ინდივიდუალური რბოლა 22 კმ-ზე) კუბიბიშეველმა სერგი სუხორუჩენკოვმა მეორე ადგილები დაიკავა და საერთო ჩათვლაში დაწინაურდა. სუხორუჩენკოვმა მეექვსე ეტაპის (180,5 კმ) მოგებით კი კიდევ უფრო განმტკიცა რბოლის ლიდერის მდგომარეობა.

ორ დღეს მასპინძლობდა

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი ორ დღეს მასპინძლობდა მძლეოსნობაში საკავშირო თასის გათამაშებას. თბილისის „დინამოს“ სტადიონის მძლეოსნობის ახალ სექტორებზე შარშან ორი დიდი ასპარეზობა გაიმართა და ორივეჯერ ეს სპორტული ბაზა სტუმართმოყვარულად შეხვდა მონაწილეებს. შეჯიბრება ამჯერადაც დიდებულად იყო ორგანიზებული.

ასპარეზობის პირველ დღეს სიმაღლეზე ხტომაში თავი ისახელა ლვოველმა ა. დემიანუკმა. იგი თამასას 228 სანტიმეტრზე გადაივლო და ყველას აჯობა. ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში კი უძლიერესი ბყო ლენინგრადელი ე. გოლობოროდკო — 190 სმ. ბირთვისმკვრელთა შორის პირველობა არავის დაუთმეს მოსკოველმა თ. ბუფეტოვამ (18,35 მ) და კიეველმა ა. ნოსენკომ (20,18 მ). შუბისმტყორცნელთა შორის იმარჯვეს ფერგანელმა გ. კონდრინამ (57,16 მ) და ლენინგრადელმა გ. კოლოსოვმა (82,37 მ.). ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომა მოიგო კრასნოდარელმა ს. შჩერბინამ (757 სმ). 100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვეს მოსკოველმა ა. ხარინამ (11,84) და ყაზახეთის გუნდის წარმომადგენელმა ვ. შურავიოვმა (10,54). 400 მეტრზე თარჯრბენში უძლიერესი გახლდათ ვილნიუსელი ა. კოსტეცკაია (57,0), 1500 მეტრზე რბენაში — ტაგანროგელი ი. ნიკიტინა (4.09,2), 400 მეტრზე რბენაში — — სვერდლოვსკელი ო. მინეევა (52,89).



მძლეოსნობაში საკავშირო თასის გათამაშების წინასწარ ეტაპებში მოპოვებული შედეგებით თბილისის სტარტებში მონაწილეობდა 4 სპორტსმენი. მათ გარდა ასპარეზობაში დაუშვეს (პირადი პირველობა) კიდევ რამდენიმე თბილისელი ოსტატი. შეჯიბრების პირველ დღეს საუკეთესო შედეგი თბილისელთაგან ჰქონდა გ. ხალბინს. მან სიგრძეზე ხტომაში მეხუთე ადგილი დაიკავა (735 სმ).

სურათზე: 800 მეტრზე რბენაში ასპარეზობის მონაწილენი.

ს. კილაძის ფოტო.

კვლავ ტურნირი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ქალთა შორის სსრ კავშირის პირველობა შაშში. მართალია, ტურნირი დამთავრდა, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონი არ გამოვლენილა. საქმე ის არის, რომ პირველი-მესამე ადგილები გაიყვეს ლ. შაუსმა (ლატვია), ე. ალტუშევმა და ლ. სოხნენკომ (ორივე — ბელორუსია) — 10,5-10,5 ქულა. ჩემპიონის ვინაობა გაირკვევა დამატებითი მატჩ-ტურნირის შემდეგ.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

რა მოვისმინოთ



საქართველოს რადიოს გადაცემები 11-დან 16 სექტემბრამდე

11 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.37 — „ეკრანის მელოდიები“, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ო. თაქთაქიშვილი. ოპერა „სამი ნოველა“. ნაწყვეტები, 11.10 — გაზეთი „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — რ. ბოიკო. რომანსები, 11.45 — „ადერების შერჩევა და აღზრდა“, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ნ. დუმბაძე — „ნუ გეშინია, დედა“ (გაგრძელება), 14.20 — მ. მუსორგსკი. საოპერო მუსიკა, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — შ. მშველიძე. კამერული ნაწარმოებები, 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“ (კონცერტი), 19.00 — „სანები მასალა და მისი ხარისხი“. ინფორეკა, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — „ცისკრის“ ახალი ნომრის მოლბამდე“, 21.00 — „ძილილისპირული“, 21.15 — რადიოსადგური „სიკაბუკე“, 22.00 — გ. ბზვანელი. კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის, 23.30 — კლასიკური ოპერეტების საორკესტრო ნაწყვეტები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

12 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.37 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ო. თაქთაქიშვილი. ოპერა „სამი ნოველა“. ნაწყვეტები, 11.10 — გაზეთი „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — რ. ბოიკო. რომანსები, 11.45 — „ადერების შერჩევა და აღზრდა“, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ნ. დუმბაძე — „ნუ გეშინია, დედა“ (გაგრძელება), 14.20 — ი. ბაბი. კამერული ნაწარმოებები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ნ. რიმსკი-კორსაკოვი. საოპერო მუსიკა, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“. კონცერტი, 19.00 — „თავისუფალ ეროა მძლე კავშირი ძმური“. საბჭოთა პოეტების ლექსები, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაკერეკანი“ (ბაკოდან), 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის. „სტუდენტი, წიგნი, ლექცია“, 21.30 — ნ. გუდიაშვილი. საფორტეპიანო კონცერტი „ჩემი სამშობლოს ეელებზე“, 22.00 — **სპექტაკლების სცენები** თამარ ჭავჭავაძის მონაწილეობით, 23.30 — უკრაკის სსრ კავშირის დიდი თეატრის მევიოლინეთა ანსამბლი, 23.35 — უკანასკნელი ცნობები.

13 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 06. 08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.37 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 11.10 — გაზეთი „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — ა. ჩიმაკაძე. პროლოგი მუსიკალურ-დრამატული კომპოზიციისათვის „ვეფხისტყაოსანსა“, 11.45 — „მეგობრები გვიზარებენ“ გამოცდილებას“. მოლდავეთის რადიოს გადაცემა „სიახლენი ვაზის მოვლასა და ყურძნის გადამუშავებაში“, 12.15 — ნ. გიგაური. სიმღერები, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — ფ. მენდელსონი. საფორტეპიანო პიესები, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — უკრაკის ორკესტრი პ. მორიას ხელმძღვანელობით, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მ.), 13.40 — ე. ნესტერენკოს კონცერტი, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. ნ. დუმბაძე — „ნუ გეშინია, დედა“ (დასასრული), 14.20 — ა. პიარტი, ორატორია „მშვიდობის ნაბიჯით“, 17.00 უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის. ნარკვევი „თემური ვარსკვლავები“, 18.00 — „აჭარის ასსრ ახალი ამბები“. აჭარის რადიოს გადაცემა, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“. კონცერტი, 19.00 — **მილიონთა ლენინური უნივერსიადები.** საუბარი „ზრნვნა ქალწე — დედაზე, მშობელზე“, 19.20 — ს. ცინცაძე. ბალეტი „დემონი“. ნაწყვეტები, 19.40 — „ეკრანის მელოდიები“, 20.30 — **„სანელოვანი 60 წელი“.** რადიოკომპოზიცია „ნაპერწკლიდან ალი აინთო“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — საქართველოს სახელმწიფო კაპელას კონცერტი, 22.00 — ლ. ბეთჰოვენი. პირველი სიმფონია, 23.30 — მელრის 5. ბრეგვაძე, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

14 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.37 — „მელოდიიდან მელოდიამდე“, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ა. პახმუტოვა. სიმღერები, 11.10 — გაზეთი „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 5. გაბუნია. „ჰოემა-ელეგია“, 11.45 3. ჭელიძე. „ფიქრები ხვალინდელ დღეზე“, 12.15 — „ბანგოს რიგმები“, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.35 — კონცერტი, რომლის პროგრამა შეადგინა ქართველ „ელექტროდამშვების“ მუშამ ბ. ნაციერაშვილმა, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მ), 14.00 — ა. ოსტროვსკი. სიმღერები, 14.20 — ა. ბაბაჯანიანი. ფორტეპიანოსათვის, 23.30 — კლასიკური ოპერეტების საორკესტრო ნაწყვეტები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

15 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთი „პრავდის“ მიმოხილვა (მ), 08.37 — ხალხური მუსიკის კონცერტი, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — დ. არაყიშვილი. სიმღერები და რომანსები, 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 12.00 — „საბჭოთა პოეტები — საქართველოს“, 13.00 — — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მ.), 13.40—სიმღერები ფეხი ჩაფირაძეების შესრულებით, 14.00 — ლ. ბარტი. მუზიკალი „ოლივერი“, 15.00 — სპეციალისტების სცენები, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — „კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ბავშვებისათვის. კონცერტი-საუბარი „ჰაინრინ ბავშვობა“, 18.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“. კონცერტი, 19.00 — „მხიარულ ტალღაზე“, 19.30 — ა. ს. ყრიანბინი. საფორტეპიანო კონცერტი, 20.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: თბილისის „დინამო“-მოსკოვის „სპარტაკი“. შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი, 20.46 — მსუბუქი მუსიკა, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — „რუსული ენის შემსწავლელთა დასაბამრეულად“, 21.30 — აბალაზურდობისათვის. „შეხვედრა თქვენი თხოვნით“, 23.30 — გ. ცაბაძე. სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

16 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 08.00 — გაზეთი „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — ნაცნობი მელოდიები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.45 — „მუსიკალური რადიოფიშა“, 12.15 — „პოეტი მიკოფფონთან“ — ა. გომიაშვილი, 12.30 — „მუსიკალური მოზაიკა“, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მ.), 13.30 — აბალაზურდობისათვის. „მუსიკის საათი“, 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი“. რადიოჟურნალი, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“ (ერეკვნიდან), 15.30 — „ფიდები და პატარები“. საუბარი „ნიჭიერი ბავშვი“, 15.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „გიგას თავგადასავალი“, 18.00 — „კონცერტი ტყის მუშაკთა თხოვნით, 20.13 — ლ. გოთუა. „ნისლი ნაბადრის ტყეში“. რადიოდადგმა, 22.10 — ვ. ბელეცკის კონცერტი, 23.30 — მელრის საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ეოკალური ანსამბლი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

11 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა, 09.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.20 — გაზეთსალიები (ფ.), 17.25 — საგალეევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნილიანნი ღიმილისათვის“ (ფ.), 17.55 — მოსწავლეთათვის — „პირველი ზარი“, 18.40 — ჩვენს დიად სამშობლოში“, საგალეევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბაიკალიდან ხუსუფუალამდე“ (ფ.), 19.00 — „სიყვარულს უშენებია“. თელავის რაიონი, 19.35 — კინოჟურნალი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „მომმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“ (ფ.), 21.00 — „ირაკლი აბაშიძის პოეზიის საღამო მოსკოვში“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 22.35 — „ირაკლი აბაშიძის პოეზიის საღამო მოსკოვში“ (გაგრძელება) (ფ.).

მეორე პროგრამით: 17.20 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.50 განცხადებები (ფ.), 17.55 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მაზავრი“, 19.35 — ქართული მხატვრული ფილმი „უკანასკნელი მასკარადი“.

თეატრი

11 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ჩვენ, ქვეყნორე ხელისმოწერნი;** ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — **ქართული ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი.**

ქართული მეცნიერების მოკამკვენი

მუდამ ძიებაში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ალექსანდრე ვარდენის ძე ბუხნიკაშვილი 70 წლისა გახდა. იგი დაიბადა სურამში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ 1927 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, ხოლო 1931 წელს დაამთავრა ამერიკაკავკასიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი ინჟინერ-გეოლოგის წოდებით და მუშაობა დაიწყო მაშინდელ ამიერკავკასიის გეოლოგიურ-საძიებო სამმართველოში. 1932 წლიდან ა. ბუხნიკაშვილი არის ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი. 1932 წლის ბოლოს ის ჩაირიცხა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში ლენინგრადში, სადაც ცნობილი მეცნიერის, საბჭოთა ელექტროძიების ფუძემდებლის პროფესორ ა. პეტროვსკის ხელმძღვანელობით ეუფლება სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიების გეოფი